

შორენა პაჭკორია

/ზსსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი/

ეკონომიკის გლობალიზაცია და ანტიინფლაციური პოლიტიკა

ანოტაცია: ეკონომიკის ინტეგრაციამ დღის წესრიგში დააყენა იმ მრავალრიცხოვანი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულის მიმოქცევაზე და ინფლაციის მაჩვენებლებზე. სტატიის მიზანია ზოგადად მიმოხილულ იქნას არსებული ფაქტორები.

სიახლე მდგომარეობს ინფლაციური პროცესების წარმოშობასა და ძირითადი მონეტარული და არამონეტარული ფაქტორების ანალიზსა და განზოგადებაში, ანტიინფლაციური რეგულირების ტრადიციული და უახლესი მოდელების პოზიციური და ნეგატიური აქტების შეფასებაში, ინფლაციური თარგეთირების თეორიისა და პრაქტიკის განხილვაში. რომელიც ხორციელდება, ქართულ და უცხოურ გამოკვლევებში ინფლაციისა და ანტიინფლაციური რეგულირების საკითხებზე შესრულებულ ლიტერატურაზე დაფუძნებით.

ამოსავალი სიტყვები: ეკონომიკის გლობალიზაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების ზრდა, თარგეთირება, მოთხოვნა, მიწოდება.

Shorena Pachkoria

/Doctor of Economics, ZSSU Assoc. Professor /

Globalization of Economics and Politics of Antiinflation

Abstract: We can conclude that, in understanding of the essence of inflation, preference must be given to the conception according to which the inflation is the violation of the money turnover law, the violation that shows itself in the surplus of money stock compared to its real demand, or in the exchange depreciation followed by price increases without enriching the production quality.

Among various monetary and non-monetary factors causing the inflation, the main ones are the growth of demand and the growth of costs (of shipping). In fact, mostly, the monetary and non-monetary factors of the price increases act simultaneously in economy.

For the moment, there is no any perfect classification of inflation types in the economic literature. The expanded scheme of classification given in the paper is approximative and needs to be supplemented by inflation types which appear during the integration processes in the world.

The low efficiency of the monetary model of anti-inflation regulation, applied in most of the countries in the world, made it necessary to use a new strategy against inflation, i.e. inflation targeting. It appeared as an intersection of new

classical and new Keynesian theories, as a reaction to the weakening of results of monetary aggregates and exchange rate targeting.

Keywords: *Globalization of the economy, Money-credit policy, Price rise, Targeted, Demand, Delivery.*

ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ფულად - საკრედიტო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტების ძიება, რაც განპირობებულია იმით, რომ არც თუ იშვიათად ვლინდება შეუსაბამობა ინფლაციის ტემპებსა და ფულად მასას შორის.

ფულთან დაკავშირებული მოვლენაა სწორედ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორცაა ინფლაცია, რომელიც ნიშნავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საჭირო დონის უწყვეტ ზრდას, რაც ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემაში ჰპოვებს ასახვას. ინფლაცია ცხოვრების ღირებულების გაძვირება და ეკონომიკის ძნელად განსაკურნებელი დაავადებაა, ამიტომ როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მასზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უამრავი გამოკვლევაა შესრულებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ სად, რომელ ეკონომიკურ სისტემაში წარმოიშობა ინფლაცია, იგი განიხილება, როგორც ფულის მიმოქცევის კანონის დარღვევა, როგორც ფასების ღია და ფარული ზრდა, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირების მიზეზი. ყველა შემთხვევაში ინფლაცია დაკავშირებულია ძირითადად ქალაქის ფულის მიმოქცევასთან, ამიტომ მისი სიღრმისეული ახსნა ამ სფეროში უნდა ვეძებოთ, მაგრამ არა ავტონომიურად, იზოლირებულად, არამედ სხვა ელემენტებთან ურთიერთკავშირში.

ვფიქრობ, თანამედროვე ეტაპზე განმარტების ცნობილი ვარიანტები ვერ ამოწურავენ მის შინაარსს, რადგან ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის შედეგად უფრო მრავალფეროვანი გახდა ინფლაციის გამომწვევი ფაქტორები და პირობები. თანამედროვე ინფლაცია რთული მრავალწახნაგოვანი პროცესია და მეტნაკლებად ყველა ქვეყანას მოიცავს. ინფლაციის მაღალი ტემპი სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის შინაარსში მთავარია ფასები, მისი საერთო დონის აწევა, ფასების ზრდა ყოველთვის ინფლაციას არ უკავშირდება. ფასების მატება შეიძლება გამოწვეული იყოს საქონლის მოთხოვნის უფრო მაღალი დონით მიწოდებასთან შედარებით. ასეთი დისპროპორცია მთელ რიგ შემთხვევაში არ წარმოადგენს ინფლაციას. საქონელზე ფასები

შეიძლება შეიცვალოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ციკლური და სეზონური რყევების, კვლავწარმოების სისტემაში, სტრუქტურული ძვრების, ბაზრის მონოპოლიზაციის, გადასახადების ახალი განაკვეთების, ფულადი ერთეულის დევალვაციისა და რევალვაციის, საგარეო ეკონომიკური კავშირების ზეგავლენის, სტიქიური უბედურების და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგადაც. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ინფლაციური მოვლენების გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები.

ვფიქრობ, ფასების ზრდის ინფლაციური მიზეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- დისპროპორციულობა, რაც გამოიხატება სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დაუბალანსებლობით, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით. ასეთი მოვლენა განსაკუთრებით საშიშია იმ შემთხვევაში, როცა დეფიციტის დაფარვა ხდება „საბეჭდი დაზგის“ გამოყენებით, რადგან მას მიუყვართ ფულადი მასის გადიდებამდე და როგორც შედეგი - ინფლაციური პროცესების გამწვავებამდე. დღევანდელ ეტაპზე ასეთი მოვლენის უარყოფითი ეფექტი გაცნობიერებული აქვთ სახელმწიფოთა უმრავლესობას, ამიტომ იშვიათად თუ მიმართავენ ემისიური ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას. თუმცა, გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე იგი ფართოდ გამოიყენებოდა, მათ შორის საქართველოშიც, რამაც, როგორც ცნობილია, მწვავე ინფლაციური და ჰიპერინფლაციური პროცესები გამოიწვია.

ინფლაციურად საშიში ინვესტიციები გულისხმობს ეკონომიკურ მილიტარიზაციას. ცხადია, სამხედრო ასიგნებები იწვევს დამატებით მსყიდველობითუნარიან მოთხოვნასა და ფულადი მასის მკვეთრ ზრდას. ამასთანავე, მეტისმეტი სამხედრო ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაღრმავების მთავარ მიზეზს, აგრეთვე სახელმწიფო ვალის ზრდის საფუძველს, რომლის დაფარვისათვის გამორიცხული არაა დამატებითი ქაღალდის ფულის გამოშვება.

- იმპორტირებად ინფლაციაში, რომლის როლი იზრდება ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, სულ უფრო ინტენსიურად ერთვებიან ცალკეული სახელმწიფოები. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტთან დაკავშირებული ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობანი საკმაოდ შეზღუდულია.

- ინფლაციური მოლოდინი, გამოიხატება ინფლაციის თვითშენარჩუნების ხასიათით. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა და სამეურნეო სუბიექტები ეჩვევიან ფასების მუდმივ ზრდას, ამიტომ მოსახლეობა ითხოვს ხელფასებისა და სოციალური დახმარების მატებას, რათა ფასების შემდეგომი ზრდის მოლოდინში მარაგის სახით შეიძინოს საქონელი. მეწარმეები კი მათი მომწოდებელი პარტნიორებისაგან ფასების ზრდის სანაცვლოდ თვითონაც ზრდიან წარმოებული საქონლის ფასს, რაც თავის მხრივ იწვევს ინფლაციის გაძლიერებას.

ინფლაციის არსის ამოსავალ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მონეტარული და არამონეტარული კონცეფციები. პირველი კონცეფციის მიხედვით, ინფლაცია წარმოადგენს სუფთა ფულად ფენომენს და მისი მიზეზია მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა. მეორე კონცეფციის თანახმად, ინფლაცია განიხილება როგორც მრავალფაქტორული მოვლენა, როცა ფასების ზრდის მიზეზი დევს ფულის მიმოქცევის ასევე წარმოების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ რეალურ ეკონომიკაში ერთდროულად მოქმედებს ფასების საჭირო დონის ზრდის მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები. განვითარების ცალკეულ ეტაპზე შეიძლება აღნიშნული ფაქტორების სახეობებიდან რომელიმემ წინა პლანზე წამოიწიოს ან პირიქით, მაგრამ გრძელვადიანი პერიოდისათვის ინფლაციის სწრაფი განვითარება შეუძლებელია ფულადი მასის ზრდის გარეშე.

მონეტარული თეორიის ფუძემდებელი მ. ფრიდმანი აღნიშნავს, რომ ინფლაციას ყოველგან და ყოველთვის თან ახლავს მონეტარული ფენომენი. მისი აზრით ისტორიულად ფასებში არსებითი ცვლილებები ყოველთვის მომდინარეობდა შესაბამისი ცვლილებებით ფულის რაოდენობაში, განსხვავებით წარმოების მოცულობაში მიმდინარე ცვლილებებისაგან /მ. ფრიდმანი 1999: 112-113 /. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციური ფაქტორები იმდენადაა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, პრაქტიკულად ძნელია ერთი ტიპი განვასხვაოთ მეორისაგან, მაგალითად, ხელფასების ზრდა შეიძლება იყოს როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების ინფლაციის მიზეზი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და წყაროები ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია დირექტიულ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სპეციფიკური ხასიათით. ამ ქვეყნებში ინფლაციური პროცესების ანალიზი იძლევა მათ სამ განსხვავებულ

ჯგუფად კლასიფიკაციის საშუალებას. პირველ ჯგუფში შედის ეკონომიკური რეფორმების წარმატებულად გამტარებელი ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიის ქვეყნები), რომლებმაც ეკონომიკური რეფორმები დაიწყეს მაღალი ინფლაციის პირობებში და საკმაოდ წარმატებულად უზრუნველყვეს მისი მოკლე დროში დარეგულირება. მეორე ჯგუფი მოიცავს ძირითადად დსთ-ს ქვეყნებს, რომლებმაც რეფორმების საწყის ეტაპზე (1992 – 1999 წ.წ.) გადაიტანეს ჰიპერინფლაციური პროცესები. მესამე ჯგუფში ერთიანდება ის ქვეყნები, რომლებმაც გარდამავალი პერიოდის გარკვეულ ეტაპზე შეძლეს ინფლაციის ზრდის ტემპების შემცირება, თუმცა, ვერ უზრუნველყვეს მისი შენარჩუნება და ინფლაციამ კვლავ ზრდის ტენდენცია მიიღო (ბურგარეთი, რუმინეთი). ამ კლასიფიკაციის არც ერთ ჯგუფში არ შედის უნგრეთი, რომელმაც შეძლო თანდათანობითი და წარმატებული რეფორმების გატარება, რის შედეგადაც ინფლაციის სერიოზულ რყევებს არ ჰქონია ადგილი. მთლიანობაში მაინც ყველა გარდამავალ ქვეყანაში ინფლაციური პროცესების დარეგულირება სირთულეებს წააწყდა, რაც გამოწვეული იყო სისტემური ეკონომიკური კრიზისითა და გეგმიანი ეკონომიკის რღვევასთან დაკავშირებული ფულად - საკრედიტო და ფისკალური პრობლემების გამწვავებით.

ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ცალკეულ ქვეყნებში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, რაც ვლინდება შემდეგ ნეგატიურ და პოზიტიურ მახასიათებლებში: ინფლაციის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილება და ბიუჯეტის შევსება „ინფლაციური გადასახადი“, ინფლაციის მაღალი ტემპების და ფასების დონის მკვეთრი ცვლილება ართულებს ბიზნეს-გეგმის შედგენას და ზრდის მეწარმეობრივ რისკს; მცირდება საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობა და იზრდება სოციალური დაძაბულობა; ფასების ზრდისა და საქონლის კონკურენტუნარიანობის შედეგად იზრდება იმპორტი და მცირდება ექსპორტი, რაც თავის მხრივ განაპირობებს უმუშევრობის ზრდას. დიდდება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა; მატულობს საზღვარგარეთ კაპიტალის გადინების ტემპი; იზრდება სპეკულაცია სავალუტო ბაზარზე, რაც უფრო აჩქარებს ფასების ზრდას; მცირდება ფულადი ფორმით დანაზოგების რეალური ღირებულება; მატულობს მოთხოვნა რეალურ აქტივებზე, დაბალი ინფლაცია არასრული დასაქმების პირობებში ამცირებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს, მაგრამ სტიმულს აძლევს დასაქმებულებს უფრო ეფექტიანად იმუშაონ. მცოცავი ინფლაცია მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეულ სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას.

რამდენადაც ინფლაცია ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სახელმწიფოს მოვალეობაა წინ აღუდგეს მას, შეიმუშაოს ანტიინფლაციური პროგრამა, პრაქტიკული რეალიზაციით განამტკიცოს ქვეყნის საფინანსო - ეკონომიკური სტაბილურობა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში წარმოქმნილ კრიზისის თავისებურებების გამო, ანტიინფლაციური რეგულირების მეთოდების შერჩევისა და პრაქტიკული რეალიზაციის რთული პროცესი, საჭიროებს გააზრებულ მიდგომას და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორების ღრმა ანალიზს, განზოგადებას. ინფლაციასთან ბრძოლის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებიდან კრიზისული ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ხდება მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მხრიდან პირდაპირი მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: ფულის მასის რეგულირება, ცენტრალური ბანკის მექანიზმების გამოყენება, კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთის რეგულირება, ცენტრალური ბანკის მიერ ღია ბაზარზე ოპერაციების გააქტიურება და ა. შ.

ანტიინფლაციური პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული მიდგომა: პირველი მიდგომა გულისხმობს აქტიური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებას, რომლის დროსაც გადახდისუნარიან მოთხოვნაზე ზემოქმედება ხდება სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების მანევრირების გზით (თანამედროვე კეინიზმი). მეორე მიდგომის თანახმად, ინფლაციის რეგულირება ხორციელდება ფულად - საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, რომელსაც ატარებს დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი. ანტიინფლაციური რეგულირების მესამე მიმართულებად ითვლება ფასებზე და შემოსავლებზე სახელმწიფო კონტროლი, რაც ხორციელდება ხელფასების (შემოსავლების) ზრდის შეზღუდვით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფლაციის არსის გაგებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ კონცეფციას, რომლის თანახმად ინფლაცია არის ფულის მიმოქცევის კანონის დარღვევა, რომელიც ვლინდება ფულის მასის სიჭარბეში მასზე რეალურ მოთხოვნილებასთან შედარებით, ან ფულის გაუფასურებაში, რომელსაც თან სდევს ფასების ზრდა საქონლის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე.

ინფლაციის გამომწვევი სხვადასხვა მონეტარული და არამონეტარული ფაქტორიდან ძირითადია მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია და დანახარჯების (მიწოდების)

ზრდით გამოწვეული ინფლაცია. მეტწილად რეალურად ეკონომიკაში ერთდროულად მოქმედებს ფასების ზრდის მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ანტიინფლაციური რეგულირების მონეტარული მოდელის ეფექტიანობის დაბალმა დონემ მიზანშეწონილი გახადა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ რეჟიმზე - ინფლაციურ თარგეთირებაზე გადასვლა. იგი წარმოიშვა ნეოკლასიკური და ნეოკეინზიანული თეორიების გადაკვეთაზე, როგორც რეაქცია ფულადი აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის თარგეთირების შედეგების შესუსტებაზე.

ბიბლიოგრაფია

References

1. *მაკკონელი, ბრიუ 1999*: მაკკონელი კ. , ბრიუ ლ. „ეკონომიკისი“ 1999.
2. *Коков, Мальчаков 1997*: Коков Ж., Мальчаков И. Теоретическая экономика 1997.
3. *Камаев 1998*: Камаев В. Экономическая тесрия 1998.
4. *Фридман 1999*: Фридман М. „Если бы деньги заговорили...“ 1999.
5. *ბარათაშვილი, ვეშაპიძე 2002* : ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. „რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა“ 2002.
6. *ღურწკაია 2007*: ღურწკაია კ., „ ეკონომიკის პრინციპები,, 2007.
7. *ჩიქავა 1997*: ჩიქავა ლ. „ ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ 1997.